ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

პავლე აბაიაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

თეა ჭეიშვილი – კოლეგიის წევრი

ნელი ვარდიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ვ. ფ

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.03.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 023/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ძ-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ძ-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 09 მარტს ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ვ. ფ-მ, რომელმაც მოითხოვა ადვოკატ ნ. ძ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ნ. ძ მისი ნათესავია, რომელსაც იურიდიული დახმარებისთვის, კერძოდ ე.წ. „ატსტუპნიკის" საქმის მოგვარებისთვის მიმართა, რის შემდეგაც, გაფორმდა მინდობილობა. საჩივრის ავტორმა ადვოკატის თხოვნით, მას სესხის სახით გადასცა 5000 (ხუთი ათასი) დოლარი.

1.3 ვ. ფ-ს განმარტებით, როგორც ადვოკატმა ნ. ძ-მა უთხრა, რომ სასამართლოში შეიტანა სარჩელი მის საქმესთან დაკავშირებით, თუმცა სასამართლომ არ მიიღო სარჩელი. საჩივრის ავტორის

განცხადებით, ადვოკატი სესხის თანხას არ უბრუნებდა, მხოლოდ ერთხელ გადასცა 300 (სამასი) დოლარი.

1.4 ვ. ფ-მ ადვოკატს უთხრა, რომ ის თავის საქმეზე სხვა ადვოკატს აიყვანდა და მისი იურიდიული დახმარება არ უნდოდა, სამაგიეროდ, ის აპირებდა მისი შვილისათვის საადვოკატო ბიუროს გახსნას და სთხოვა ადვოკატს, რომ მის შვილთან ერთად ემუშავა ოფისში, რაც მისთვისაც კარგი იქნებოდა, რადგან უფრო შეძლებდა საჩივრის ავტორის ვალის გასტუმრებას.

1.5 ვ. ფ-ს განცხადებით, მისმა შვილმა უთხრა, რომ არ მოსწონდა ადვოკატ ნ. ძ-ის ქმედებები კლიენტებთან და მასთან მუშაობა აღარ სურდა. ვ. ფ-ს განცხადებით, 2012 წლის 09 აპრილს ის მივიდა ადვოკატის სამსახურში და უთხრა, რომ არსად წავიდოდა, სანამ მის ვალს არ გაისტუმრებდა, რის შემდეგაც ნ. ძ-მა ის ჩაკეტა ოთახში, რა დროსაც საჩივრის ავტორმა პატრული გამოიძახა.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ნ. ძ არის „თაღლითი“, რადგან მის მსგავსად სხვებიც მოატყუა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. ძ-მა 2016 წლის 12 ივლისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე, რაიმე სახის თანხა, გარდა ასი (ასი) ლარისა საჩივრის ავტორს მისთვის არ გადაუცია. საჩივრის ავტორმა მას ასესხა თანხა სარგებლის 10 პროცენტის გადახდის პირობით.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ვ. ფ არის მისი ნათესავი, თუმცა დიდი ხანი არ ჰყავდა ნანახი და მასთან მივიდა ოფისში სტუმრად. ვ. ფ-მ ადვოკატს უთხრა, რომ მას ჰქონდა თანხა, რომელსაც გაასესხებდა სარგებლის სახით. ადვოკატმა საჩივრის ავტორისაგან ისესხა 5000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარი 10 პროცენტიანი სარგებლის სახით, რასაც ადვოკატი ყოველთვიურად იხდიდა.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მან ვეღარ შეძლო ყოველთვიური სარგებლის გადახდა. საჩივრის ავტორმა მას მოსთხოვა ორ სამოქალაქო საქმეზე გაეწია საადვოკატო მომსახურება, თუმცა ადვოკატმა ჰონორარის გადახდა არ თხოვა, რადგანაც საჩივრის ავტორის ვალი ჰქონდა. ადვოკატმა ერთ საქმეზე შეადგინა სარჩელი და გადასცა ვ. ფ-ს, რომელიც შეიტანა სასამართლოში, მეორე საქმეზეც გაუწია კონსულტაცია, თუმცა მოგვიანებით, მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა.

2.4 ადვოკატის განცხადებით, 2012 წლის აპრილის თვეში, მასთან ოფისში მივიდა ვ. ფ და დაემუქრა და მოსთხოვა ვალის გადახდა, რა დროსაც იქ იმყოფებოდა ადვოკატის მეგობარი - ნ. გ. ადვოკატის განცხადებით, ვ. ფ-მ გამოიძახა პატრული, რომელსაც ადვოკატმა აუხსნა არსებული პრობლემა, რა დროსაც ადვოკატმა დაწერა ხელწერილი, სადაც მან არ მიუთითა არც სარგებელზე და არც გადახდილ თანხაზე, რასაც არც აფიქსირებდა, ნათესაური კავშირისა და ურთიერთნდობის გამო. ადვოკატი აგრძელებდა სარგებლის გადახდას, თუმცა ის დაიბარეს პოლიციაში გასაუბრებაზე.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მის წინააღმდეგ ვ. ფ-მ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თანხის დაბრუნება. ადვოკატი ნ. ძ პროცესზე ვერ გამოცხადდა, რის შედეგადაც გამოვიდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რისი გასაჩივრებაც ადვოკატმა ვერ მოახერხა და შედეგად, აღსრულებამ მისი ძმის ოჯახში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება დააყადაღა.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. ძ არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

3.2 ვ. ფ-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2017 წლის 09 მარტს.

3.3 სადავო ქმედება ხორციელდება 2012 წლიდან დღემდე. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

3. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ძ-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

4. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიის მიხედვით, ადვოკატმა ნ. ძ-მა მას ვერ გაუწია შეთანხმების შესაბამისად იურიდიული მომსახურება, რის შემდგომაც მას მოსთხოვა სესხის სახით გადაცემული 5000 (ხუთი ათასი) დოლარის უკან დაბრუნება, თუმცა ადვოკატმა თანხა არ დააბრუნა.

5.2 საჩივრის ავტორის პრეტენზიის თაობაზე, რაც ეხება ადვოკატის მიერ განხორციელებულ საადვოკატო მომსახურების შეფასებას, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ 2017 წლის 30 მარტს საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორს მტკიცებულებათა წარმოდგენისათვის განუსაზღვრა ვადა 2017 წლის 15 აპრილამდე. 2017 წლის 28 აპრილს ეთიკის კომისიის აპარატი დაუკავშირდა ვ. ფ-ს, რომელმაც განმარტა, რომ აღარ აპირებდა საქმის მასალების წარმოდგენას (ოქმი ტელეფონით შეტყობინების შესახებ, ს.ფ.25). განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა ადვოკატის მიერ არაკვალიფიციური მომსახურების ფაქტს.

5.3 მოცემულ შემთხვევაში, დასტურდება, რომ საჩივრის ავტორისათვის ადვოკატს უნდა გაეწია საადვოკატო მომსახურება სამოქალაქო საქმეზე (2011 წლის 11 მაისს ვ. ფს მიერ ნ. ძ-ის სახელზე გაფორმებული რწმუნებულება, ს.ფ.10; საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, ს.ფ.18). ამავე დროს, ადვოკატმა საჩივრის ავტორისგან ისესხა თანხა - 5000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარი (შეტყობინება, ს.ფ. 07, ხელწერილი, ს.ფ. 09). საჩივრის ავტორმა მიმართა სასამართლოს ადვოკატ ნ. ძ-ის მიმართ და მოითხოვა სესხის სახით გაცემული თანხის - 5000 (ხუთი ათასი) დოლარის გადახდა, (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ს.ფ.14).

5.4 საჩივრის ავტორის პრეტენზიის მიხედვით, მას შემდგომ, რაც ადვოკატმა ნ. ძ-მა ვერ გაუწია სათანადო იურიდიული მომსახურება, მას მოსთხოვა სესხის სახით გადაცემული თანხის დაბრუნება, თუმცა ადვოკატმა მას არ დაუბრუნა თანხა. საჩივრის ავტორმა მიმართა სასამართლოს ადვოკატ ნ. ძ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა სესხის სახით გაცემული თანხის - 5000 (ხუთი ათასი) დოლარის გადახდა, (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ს.ფ.14). საჩივრის ავტორის პრეტენზიის მიხედვით, ადვოკატი „თაღლითია“ და მან სხვებიც მოატყუა.

5.5 განსახილველ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულის მიხედვით, ადვოკატთა ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებსა და ქცევის წესებს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება: ა) ამ კანონის მე- 5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის; ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის“. კანონის მე-5-მე-9 მუხლები, ისევე როგორც ეთიკის კოდექსის ნორმები, განსაზღვრავენ ადვოკატის ქცევის წესებს კლიენტების, კოლეგების, სასამართლოსა და პროცესის მონაწილე სხვა პირთა მიმართ, მაგრამ როდესაც ადვოკატი ასრულებს პროფესიულ ფუნქციას. ეთიკის კომისია პრაქტიკით უფრო მეტ სტანდარტს აწესებს ადვოკატებისთვის, როგორიცაა არა მარტო სასამართლო შენობაში, არამედ ნებისმიერ ვითარებაში პროფესიული ღირსების შენარჩუნებისა და საადვოკატო საქმიანობის პატივისცემის ვალდებულება, ისეთი ქმედებისაგან თავის არიდება, რაც ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას.

5.6 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებაში /დისციპლინური საქმე #025/12/ დაადგინა: „ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისათვის, ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას,“ თუმცა სავარაუდო დარღვევის შეფასებისათვის განმსაზღვრელია არა ის, რომ პირი ადვოკატს წარმოადგენდეს, არამედ ის ადვოკატის სახით უნდა მოქმედებდეს და ირღვეოდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის პრინციპები.

5.7 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება ადვოკატის მიერ ისეთი ქმედების შესაძლო განხორციელებას, რომლის შეფასებაც სცილდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას. კერძოდ, პრეტენზია ეხება არა როგორც ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას, არამედ, როგორც გამსესხებელსა და მსესხებელს შორის არსებულ სამოქალაქო დავას, რაც არ წარმოადგენს ეთიკის კომისიის შეფასების საგანს.

5.8 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვით „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში“. შესაბამისად, საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას საჩივრის განხილვაზე.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19–მე-20 მუხლებით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N023/17 ადვოკატ ნ. ძ-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /პავლე აბაიაძე/

კოლეგიის წევრი: /თეა ჭეიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნელი ვარდიაშვილი/